განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 23 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი:1დეკემბერი

თბილისი 2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	საჯარო სამართლლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ტურიზმის მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N87 24.07.2015

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“ დაწესებულება ახორციელებს 2015 წლიდან. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. მათ შორის, 10 კრედიტი ეთმობა პრაქტიკას, 30 კრედიტი კი სამაგისტრო ნაშრომს. სავალდებულო სასწავლო კურსები მოცულობა კრედიტებში არის 105 კრედიტი. 15 კრედიტის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსები (9 სასწავლო კურსი). პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ მეორე უცხო ენის სახით დაეუფლონ ფრანგულ, გერმანულ, თურქულ და რუსულ ენებს. პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 20 სტუდენტს. პროგრამა ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. პროგრამის გამხორციელებაში ჩართულია 12 აკადემიური პირი. მათ შორის, 2 პროფესორი, 5 ასოც. პროფესორი, 3 ასისტ.პროფესორი, 1 ასისტენტი. გარდა ამისა, პროგრამაში მონაწილეობას ღებულობენ უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის და სხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული აკადემიური პირები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 23 ოქტომბერს. ვიზიტამდე 22 ოქტომბერს, შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (გოჩა თუთბერიძე, ეკა დევაძე, ნინო ტალიკაძე) ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა საგანამანათლებლო პროგრმა, თანდართული დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 23 ოქტომბერს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
23 ოქტომბერს 10:20 საათიდან, Zoom-ის საშუალებით, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია) თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 1.2 კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.1, 2.3, და 2.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2, 2.4 და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 შეფასდა როგორც შესაბამისი;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება (8-10 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომელიც შესაძლებელს გახდის სტუდენტის მიერ მისი მიღწევის გაზომვასა და შეფასებას;

რეკომენდებულია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის სასწავლო კურსების: ,,ეკო ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, ტურიზმის საინფორმაციაო ტექნოლოგიები, მემკვიდრეობის ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“ -დასახელებები/სათაურები და სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა უფრო მეტად ითვალისწინებდეს ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, იგულისხმება სასწავლო კურსების დასახელებების და შინაარსის თანხვედრა;

რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის არჩევით ბლოკში - უცხო ენების შეთავაზება გარდა B2.1 დონისა, მოხდეს A1/A2 და B1/B2 დონეებით, რაც შესაძებლობას მისცემს სტუდენტს დაბრკოლების გარეშე დაძლიოს სასწავლო კურსი (უცხო ენა);

რეკომენდებულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი შემუშავდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით - მიმართულებების (ტურისტული სააგენტო, განთავსების და კვების ობიექტები, დაცული ტერიტორია, მუზეუმი, სატრანსპორტო კომპანია) მიხედვით, რათა უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება;

რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გარკვეული დოზით მოხდეს პრაქტიკული კომპენენტის ინტეგრირება;

რეკომენდებულია დაწესებულებამ უწყვეტ რეჟიმში აწაარმოოს მაგისტრანტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში, პროექტებში ჩართულობის სტატისტიკა პროგრამის შედეგიანობის შეფასების მიზნით. ხოლო მიღებული

შედეგის საფუძველზე შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებები მოცული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;

მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგიტრო თემის ხელმძღვანელთა ურთიერთობის პროცედურები. ასევე, მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის წინაპირობაში: ,,გამოცდა უცხო ენაში" მიეთითოს კონკრეტული (ენა) დასახელება;

სასურველია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა იძლეოდეს უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსების შესაძლებლობას, როგორიცაა: სამედიცინო ტურიზმი, კურორტის მენეჯმენტი, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, ღონისძიებების მენეჯმენტი და ა.შ., რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს ცოდნა გაიღრმაოს ინტერესის სფეროს შესაბამისად;

სასურველია გასწორდეს მწირე ტექნიკური უზუსტობები შეფასების კომპონენტებთან მიმართებით შემდეგ სასწავლო კურსებში: „სასტუმროს მენეჯმენტი", „ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში", „ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი", „ბიზნეს ეთიკა", „კვლევის კომპიუტერული მეთოდები IBM SPSS ბაზაზე";

სასურველია პერიოდულად გაანალიზდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების სიხშირე, მიზნობრიობა და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები წახალისების მიზნით;

სასურველია სამაგისტრო პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნას უსდ-ს სხვა წყაროებიდან და არა მთლიანად სამაგისტრო პროგრამის შემოსავლებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩარიცხულ პირთა ოდენობა არ აჭარბებს 15-ს). შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (მაგ. კრიტიკული ნიშნულები, პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების ინდიკატორები და სხვ.).

სასურველია პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალური გაწერა, რომელშიც გამოჩნდება კონფერენციების, მივლინებების, სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად. პროგრამას გააჩნია ხუთი მიზანი: 1. მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია თანამედროვე, ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმის სფეროში; 2. შეუძლია იმოქმედოს რთულ, უცნობ, მულტი-დისციპლინურ გარემოში კერძო, საჯარო, სამოქალაქო ორგანიზაციის ფარგლებში; 3. შეიმუშაოს და გაატაროს კვლევაზე დაფუძნებული ინოვაციური, ორიგინალური მმართველობითი გადაწყვეტილებები; 4. შეუძლია კომუნიკაციაში შევიდეს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან გადაწყვეტილების მომზადების, დანერგვის და შეფასების პროცესში; 5. მისი საქმიანი აქტივობა ეყრდნობა ბიზნეს და აკადემიური ეთიკას, სოციალურ და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, არის საკუთარი თავის და ირგვლივ მყოფთა განვითარებაზე ორიენტირებული. პროგრამის მიზნების შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. მისიის განაცხადში აღნიშნულია, რომ „უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართულებისა და **ტურიზმის განვითარება.** საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები რეალისტურია და მიღწევადი. საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე მიზანი ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. საგანმანათლებლო პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა პროგრამის შემუშავებამდე ჩაატარა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და აკადემიური პირების გამოკითხვა. გამოკითხვების შედეგებმა აჩვენა, აჭარაში და ბათუმში, ტურიზმის ინდუსტრია, მენეჯმენტის საშუალო და მაღალ რგოლში მოითხოვს ადამიანებს, რომლებიც გამოირჩევიან რთულ სიტუაციაში სწრაფად რეაგირების უნარით, ღრმა ცოდნით არა მარტო ზოგადად ტურიზმის სფეროში, არამედ ტურისტული ინდუსტრიის ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტულ ფუნქციონალურ სფეროებში, შეძლონ კომუნიკაცია ერთზე მეტ ენაზე და იყონ პასუხისმგებლიანები როგორც სოციალური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024; • ტურიზმის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა; • შრომის ბაზრის კვლევა; • დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და აკადემიური პირების გამოკითხვის შედეგები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია ამჟამად მოქმედი სამაგისტრო პროგრამის „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“ შესახებ https://bsu.edu.ge/sub-14/program/3/index.html; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შინაარსით მოიცავს მეორე საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. აღნიშნულის დემონსტრირებაა პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების რუკა. სწავლის შედეგები პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების რაოდენობა ბევრია, შესაბამისად დგება მათი გაზომვის და შეფასების პრობლემა. გარდა ამისა, ცალკეული სწავლის შედეგის ფორმულირება ძალიან ზოგადია და ძნელია როგორ და რომელი სასწავლო კურსების საშუალებით უნდა შევაფასოთ რამდენად მიაღწია ამ სწავლის შედეგს სტუდენტმა. მაგ. „იცის და გააზრებული აქვს დამსაქმებლებისა და მომხმარებლის ფსიქოლოგია“, „იყენებს ტურიზმის სფეროს უახლეს ცოდნას მაღალი ხარისხის, მდგრადი და ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება (8-10 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომელიც შესაძლებელს გახდის სტუდენტის მიერ მისი მიღწევის გაზომვასა და შეფასებას.

პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა ხორციელდება სამი მეთოდით და მოიცავს როგორც პირდაპირ (სტუდენტთა მოსწრებადობის ანალიზი), ისე არაპირდაპირ (სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების გამოკითხვები) მეთოდებს. შედეგების შეფასებაში ჩართულია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები. პროგრამა იყენებს ორ სამიზნე ნიშნულს სწავლის შედეგების შეფასებისთვის: სემესტრულად სწავლის შედეგების განხილვას და შედარებას შეფასებების ნორმალური განაწილების მეშვეობით და სპეციალობის მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების წილით კურსდამთავრებულთა საერთო ოდენობაში.

პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად, გამომდინარეობენ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან. დაწესებულების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ადასტურებს, რომ ბაზარი მზარდია და შესაბამისად, მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის კადრებზე მაღალია. სწავლის შედეგების შემუშავება ასევე ეყრდნობოდა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კვლევას და ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაინტერესებული მხარეები მზად არიან მიიღონ მონაწილეობა პროგრამის გაუმჯობესება-სრულყოფაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

• ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი; • შრომის ბაზრის კვლევა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძრვანელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება (8-10 სწავლის შედეგი). პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება უნდა იყოს ისეთი, რომელიც შესაძლებელს გახდის სტუდენტის მიერ მისი მიღწევის გაზომვასა და შეფასებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის (ონლაინ პლატფორმა) შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ბსუ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე და საჯარო წინაპირობები და პროცედურები, რაც ასახულია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში (ა. ერთიანი ეროვნული გამოცდები; ბ. გამოცდა სპეციალობაში და უცხო ენაში), ასევე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებ გვერდზე, სადაც გამოქვეყნებულია მაგისტრატურაში მიღების წესები, სამაგისტრო პროგრამის აღწერა, სასწავლო გეგმა და საგამოცდო საკითხები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული სამაგისტრო პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალები: სასწავლო გეგმა და საგამოცდო საკითხები, მაგისტრატურაში მიღების წესები, 2019 წლის მიღების შიდა გამოცდების განრიგი და შედეგები, ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის წინაპირობაში: ,,გამოცდა უცხო ენაში“ მიეთითოს კონკრეტული (ენა) დასახელება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი აგებულია იერარქიული საფეხურების დაცვით, სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. სასწავლო კურსებზე წარმოდგენილია დაშვების წინაპირობები. სავალდებულო სასწავლო კურსები განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად. პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილია ძირითადი/სავალდებულო და არჩევითი კურსების ბლოკები. თუმცა, სასწავლო კურსების: ,,ეკო ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, ტურიზმის საინფორმაციაო ტექნოლოგიები, მემკვიდრეობის ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“ - დასახელებები/სათაურები და სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა (15 კვირა) უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, იგულისხმება სასწავლო კურსების დასახელებების და შინაარსის თანხვედრა. ამავდროულად, სასურველია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსები, როგორიცაა: სამედიცინო ტურიზმი, კურორტის მენეჯმენტი, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, ღონისძიებების მენეჯმენტი და ა.შ., რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს ცოდნა გაიღრმაოს ინტერესის სფეროს შესაბამისად. პროგრამის არჩევით ბლოკში გათვალისწინებულია ასევე, მეორე უცხო ენის სწავლება, როგორიცაა: ,,ფრანგული, გერმანული, რუსული და თურქული ენები B 2.1. დონე“, სასურველია უცხო ენების შეთავაზება მოხდეს A1/A2 და B1/B2 დონეების მიხედვით, რაც

შესაძებლობას მისცემს სტუდენტს დაბრკოლების გარეშე დაძლიოს სასწავლო კურსი (ენები -არჩევითი ბლოკიდან)
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის სასწავლო კურსების: ,,ეკო ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, ტურიზმის საინფორმაციაო ტექნოლოგიები, მემკვიდრეობის ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“ -დასახელებები/სათაურები და სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა უფრო მეტად ითვალისწინებდეს ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, იგულისხმება სასწავლო კურსების დასახელებების და შინაარსის თანხვედრა. რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის არჩევით ბლოკში - უცხო ენების შეთავაზება გარდა B2.1 დონისა, მოხდეს A1/A2 და B1/B2 დონეებით, რაც შესაძებლობას მისცემს სტუდენტს დაბრკოლების გარეშე დაძლიოს სასწავლო კურსი (უცხო ენა)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა იძლეოდეს უფრო მეტი არჩევითი სასწავლო კურსების შესაძლებლობას, როგორიცაა: სამედიცინო ტურიზმი, კურორტის მენეჯმენტი, დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, ღონისძიებების მენეჯმენტი და ა.შ., რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს ცოდნა გაიღრმაოს ინტერესის სფეროს შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის მენეჯმენტის 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის ძირითადი/სავალდებულო სასწავლო კურსები 5კრედიტიანია, სასწავლო პრაქტიკა 10 კრედიტიანი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტიანი. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა სტანდარტიზებულია და მოიცავს 30 საკონტაქტო და 95 დამოუკიდებელ საათს. 1სთ დათმობილი აქვს შუალედურ გამოცდას, ხოლო 2 საათი დასკვნით/ფინალურ გამოცდას. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის სილაბუსები • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე (პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან) გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი/ფაკულტეტი მუდმივად ზრუნავს სტუდენტის პრაქტიკული, კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ კვლევით პროექტებში ჩართვას; პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას წინასწარშემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. პროგრამაში სასწავლო პრაქტიკა წარმოდგენილია 10 კრედიტით. პრაქტიკის დროს სტუდენტი იცავს მიმღები დაწესებულების შინაგანაწესს, ეთიკის ნორმებს, ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს და აწარმოებს პრაქტიკის დღიურს პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და მენტორის მითითებების შესაბამისად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში წარმოდგენილი თემატიკა ზოგადი ხასიათისაა და სასურველია იგი წარმოდგენილი იყოს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგ. პრაქტიკა ტურისტულ სააგენტოში, განთავსების და კვების ობიექტები, დაცულ ტერიტორიაზე, მუზეუმში, სატრანსპორტო კომპანიაში. აღნიშნული კი უფრო მეტად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა • სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები • ხელშეკრულებები / მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი შემუშავდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით - მიმართულებების (ტურისტული სააგენტო, განთავსების და კვების ობიექტები, დაცული ტერიტორია, მუზეუმი, სატრანსპორტო კომპანია) მიხედვით, რათა უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; პროგრამაში წარმოდგენილია ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: თანამშრომლობითი სწავლება, როლური თამაში, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შემთხვევების განხილვა და ანალიზი, გონებრივი იერიში, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დემონსტრირება, პრეზენტაცია. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა • სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები • ინდივიდუალური პროგრამა • გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე. ძირითადად, შუალედურ შეფასებებზე მოდის 60 ქულა (მათ შორის შუალედური გამოცდა 20 ქულა), ხოლო, დასკვნით გამოცდაზე, შესაბამისად, 40 ქულა. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა ნათლად არის გაწერილი, გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა კომპონენტი და მეთოდი, რომელიც მორგებულია სასწავლო კურსების სპეციფიკაზე. თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს რომ ისურვებდნენ პრაქტიკული კომპონენტის ინტეგრირებას სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა. სილაბუსების გაცნობის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა შეფასების კომპონენტებთან მიმართებით,

კერძოდ შემდეგ სასწავლო კურსებში: „სასტუმროს მენეჯმენტი“, „ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“, „ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი“, „ბიზნეს ეთიკა“, „კვლევის კომპიუტერული მეთოდები IBM SPSS ბაზაზე“.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმებია: წერითი დავალება, სიტუაციური ამოცანა, დისკუსია, პროექტის პრეზენტაცია და სხვ. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. ეს დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებიდანაც.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (https://portal.bsu.edu.ge/). სისტემა სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს (კომენტარებს მიღებულ შედეგებზე და სხვ.). პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. სტუდენტები ასევე იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ გასაჩივრების სისტემას.

სამაგისტრო ნაშრომში კრედიტის მინიჭება ხორციელდება ნაშრომისადმი დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულების შემთხვევაში. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს №111 დადგენილების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- დადგენილება N111 - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გარკვეული დოზით მოხდეს პრაქტიკული კომპენენტის ინტეგრირება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია გასწორდეს მწირი ტექნიკური უზუსტობები შეფასების კომპონენტებთან მიმართებით შემდეგ სასწავლო კურსებში: „სასტუმროს მენეჯმენტი“, „ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“, „ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი“, „ბიზნეს ეთიკა“, „კვლევის კომპიუტერული მეთოდები IBM SPSS ბაზაზე“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე სათანადო ინფორმაციას სხვადასხვა წყაროს გამოყენებით იღებენ, ეს იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, სტუდენტური პორტალი თუ სოციალური ქსელი (ოფიციალური). მაგალითისთვის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოქვეყნებული სტუდენტური გზამკვლევი (იხ. ბმული: https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html) სტუდენტს აწვდის მრავალმხრივ ინფორმაციას ყველა საჭირო თემაზე სტუდენტის ცხოვრებაში.

უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება, უშუალოდ ევალება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, რომლის ფუნქციებში ასევე შედის საგანმანთლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა. ხოლო სტუდენტების მობილობას, გაცვლით პროექტებში მონაწილეობას, საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების ორგანიზება/ჩატარებას კურირებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი. ზოგადად, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. თუმცა, ვიზიტის დროს უნივერსიტეტს დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში მაგისტრანტთა ჩართულობის დამადასტურებელი) ამის შესახებ არ წარუდგენია.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულება ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებს. აკადემიური პერსონალისთვის სტუდენტთა კონსულტირების გრაფიკი დგინდება ყოველ სემესტრში და გამოიკვრება განცხადებების დაფაზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, დავალებები და სხვ. მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტის და ღონისძიების შესახებ) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მათ პირად გვერდზე, სტუდენტურ პორტალზე (https://portal.bsu.edu.ge/).

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტში აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სხვადასხვა გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. შეფასების შედეგები

ანალიზდება სპეციალური სამსახურების მიერ, ხდება გამოვლენილ პრობლემებზე მოკვლევა და შემდგომ რეაგირება.
უნივერსიტეტში დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე იქმნება სტუდენტთა პორტფოლიოების ერთიანი ბაზა, რომელიც დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს წინასწარ მიიღოს ინფორმაცია მომავალი, პოტენციური თანამშრომლის პიროვნული და პროფესიული უნარ–ჩვევების შესახებ და შეძლებისდაგვარად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების პროცესში სისტემაში დანერგილი მექანიზმის მეშვეობით მათთან რეგულარული და სრულფასოვანი უკუკავშირის მიღების საფუძველზე. უნდა, აღინიშნოს რომ ეს არის ორმხრივი პროცესი, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მათი ინტერესების სფეროს შესაბამისად სტუდენტურ პორტალზე მოიძიონ ვაკანსიები/სტაჟირებები და ა.შ. როგორც მაგისტრანტები, ისე პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ყველა მათგანი არის დასაქმებული და უმეტესობა კვალიფიკაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტური გზამკვლევი, გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://www.bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html
- სტუდენტური პორტალი www.portal.bsu.edu.ge
- სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება
- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია დაწესებულებამ უწყვეტ რეჟიმში აწაარმოოს მაგისტრანტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში, პროექტებში ჩართულობის სტატისტიკა პროგრამის შედეგიანობის შეფასების მიზნით. ხოლო მიღებული შედეგის საფუძველზე შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებები მოცული მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (იხ. მუხლი 16). მასში აღნიშნულია, რომ მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

სამაგისტრო თემის არჩევა ხდება მაგისტრის ინტერესებიდან გამომდინარე, თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით და სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგენით. ხელმძღვანელის გამოყოფის დროს ხდება პერსონალის კვალიფიკაციის და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით და კონფერენციებში მონაწილეობით.

კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებოდნენ მაგისტრანტებს და აძლევენდნენ უკუკავშირს და კონსულტაციას. თუმცა, სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელთან ურთიერთობის აღმწერი დეტალური დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნებოდა აგრეთვე ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები არ მოიპოვება.

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. ყველა დაცული სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებულია Turnitin-ის პროგრამაში. თუმცა, ვიზიტის დროს არ მოგვეცა შესაძლებლობა ახლოდან გავცნობოდით მის მუშაობას, ისევე როგორც სამაგისტრო ნაშრომებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მაგისტრატურის ხელმძღვანელთა შესახებ ინფორმაცია, დართული სამაგისტრო პროგრამაზე (განხორციელებული კვლევები, გამოცდილება), უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია პერსონალის შესახებ მისამართზე: https://bsu.edu.ge/sub-14/persons/index.html
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;

• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგიტრო თემის ხელმძღვანელთა ურთიერთობის პროცედურები. ასევე, მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. მათ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია. მათი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება დასტურდება კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობით, სამეცნიერო შრომებით და სხვ. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღება ხდება შესარჩევი კონკურსის მეშვეობთ, რომლის პირობები გაწერილია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით. ზოგადად პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ტურიზმის ფაკულტეტის 2 პროფესორი (აფილირებული), 5 ასოცირებული პროფესორი (აფილირებული), 2 ასისტენტ პროფესორი (აფილირებული), 1 ასოცირებული პროფესორი უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტიდან (აფილირებული), ერთი მოწვეული პირი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტიდან, ერთი მოწვეული სპეციალისტი ტურიზმის ინდუსტრიიდან. უნდა აღინიშნოს რომ ამ რაოდენობაში არ არის შეყვანილი უცხო ენების შემსწავლელი კურსების ლექტორები. ზოგადად, აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის დაცულია პროგრამის მდგრადობისთვის საჭირო ბალანსი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის დარგში და მათ უმეტესობას მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება სამეცნიერო ხარისხის დიპლომებით, სხვადასხვა კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობით, სამეცნიერო შრომებით და საერთაშორისო სერტიფიკატებით (დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში და არა მარტო). პერსონალის მოწვევა ლექციების წასაკითხად ხდება ყოველწლიურად რექტორის ან რექტორის მოადგილის ბრძანების საფუძველზე, ღია კონკურსის გზით. აკადემიური და

მოწვეული პერსონალის დატვირთვა დგება სასწავლო წლის დასაწყისში და წლის განმავლობაში ხდება მათში ცვლილებების შეტანა, თუ ამის საჭიროება დგება, გამომდინარე აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის ოდენობიდან კატეგორიების მიხედვით. სტუდენტებს ემსახურება საკმარისი რაოდენობის და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი ფუნქციები გაწერილია შესაბამისი დებულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები • პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, უნივერსიტეტი აფინანსებს (კონკურსის საფუძელზე) აკადემიური პერსონალის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებს, ეხმარება მათ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესისთვის აუცილებელი ლიტერატურის შექმნაში, თარგმნასა და გამოცემაში, სთავაზობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეულ პერსონალს პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის დაფინანსების მოპოვებას და სხვ. მსგავსი მექანიზმები გაწერილია სხვადასხვა შიდა ნორმატიულ დოკუმენტში, ხოლო განვითარების მიმართულებები დეკლარირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითრების გეგმაში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება საერთაშორისო და შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციები (მაგალითად, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“), სემინარები აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ჩართულობით. პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მათ აქვთ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილების და სტატიების გამოქვეყნების კარგი მაჩვენებელი.

უნივერსიტეტი სისტემატიურად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებას და მათ კმაყოფილების კვლევას. კერძოდ, ბსუ-ს სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება შემდეგ წესებზე დაყრდნობით: „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“, ასევე “ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“. შეფასებები არის ელექტრონულად ხელმისაწვდომი ყოველი პირისთვის სტუდენტურ პორტალზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს და იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს მათი პროფესიული განვითარების მიზნით. უნივერსიტეტი აღიარებს და აფასებს ყოველი თანამშრომლის მიღწევებს, ხდება თითოეულის ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების წახალისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები კონფერენციებზე/ტრენინგებზე მივლინებების დაფინანსების შესახებ
- ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- სტუდენტურ პორტალზე www.portal.bsu.edu.ge გამოქვეყნებული აკადემიური და მოწვეული პირების პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასება
- რექტორის ბრძანება “ბსუ-ს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების

მიზნით ტრენინგის ჩასატარებლად სპეციალისტების: გიგი თევზაძის და გიორგი გახელაძის მოწვევის შესახებ“. ინფორმაცია ტრენინგის შესახებ სწავლის მეთოდებში https://www.bsu.edu.ge/sub-14/page/9352/index.html • ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ ვებ-გვერდზე: https://www.bsu.edu.ge/sub-14/page/2-204/index.html • ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი • „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება“ • „ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი“. • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ინფორმაცია ტურიზმის ფაკულტეტის კონფერენციების შესახებ https://bsu.edu.ge/sub-52/page/2-401/index.html?lang=ge • აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. მართალია ონ-

ლაინ ვიზიტის დროს არ იყო გათვალისწინებული მატერიალური ტექნიკური ბაზის, ან შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება, მაგრამ ინფორმაციის გადამოწმება მოხდა ინდივიდუალურად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ბმულების გამოყენებით.

ბიბლიოთეკას აქვს მისი ვებ-გვერდი (იხ ბმული: https://bsu.edu.ge/sub-15/page/266/index.html). ამ ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის სიახლეები, ბიბლიოთეკის შესახებ ინფორმაცია, ელექტრონული ბიბლიოთეკა, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები, სასარგებლო რესურსები, საკონტაქტო ინფორმაცია და რაც მთავარია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შესაბამისად, სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. თუმცა, არ გვაქვს ინფორმაცია მათი გამოყენების ხარისხის შესახებ.

პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს აქვს წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან, კერძოდ, Elsevier-ის ScienceDirect-ის და Scopus-ის ბაზები, Clarivate Analytics, Cambridge Journals Online, BioOne Complete, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, IMechE Journals, IMF eLibrary, New England Journal of Medicine, Royal Society Journals Collection, SAGE Premier და სხვ.

ამასთან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისტემები ხელმისაწვდომია ამავე ვებ-გვერდიდან შემდეგი ბმულის: http://library.bsu.edu.ge/ გამოყენებით.

აქვე წარმოდგენილი უახლოესი სიახლეები ტენდერით შეძენილი ლიტარატურის შესახებ (იხ. ბმული: https://bsu.edu.ge/sub-15/news/index.html).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ:
  https://www.bsu.edu.ge/sub-15/news/index.html

  https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html
- სტუდენტური გზამკვლევი https://www.bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია პერიოდულად გაანალიზდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების სიხშირე, მიზნობრიობა და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები წახალისების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი. რომელშიც დაფინანსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასური. ბიუჯეტი შედგენილია 2 წელზე გათვლით 20 სტუდენტის შემთხვევაში (მაშინ როცა, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩარიცხულ პირთა ოდენობა არ აჭარბებს 15-ს), როდესაც სწავლების ღირებულება შეადგენს 2 500 ლარს. ამის გათვალისწინებით პროგრამის საშემოსავლო ნაწილმა შეადგინა 100 000 ლარი. ხოლო ხარჯები ძირითადად გაწერილია აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებასა (30 983 ლარი) და ზედნადებ ხარჯებზე (40 000 ლარი). ხოლო დანარჩენილი ნაწილია აღიარებულია როგორც მოგება (29 017 ლარი). მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნას უსდ-ს სხვა წყაროებიდან და არა მთლიანად სამაგისტრო პროგრამის შემოსავლებიდან. ამასთან, რადგან წარმოდგენილ ბიუჯეტში ბუნდოვანია თუ როგორ ხდება (ან ხდება თუ არა) პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მაგისტრანტების მიერ განხორციელებული კვლევების, მათ მიერ კონფერენციებში მონაწილეობის/პუბლიკაციების ხარჯების დაფარვა, მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტში ცალკე პუნქტად გამოეყოს მსგავსი ხარჯები კონკრეტული ან მიახლოებული თანხების მითითებით. ასევე, სასურველია უსდ-ს ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან ყოველწლიური პირდაპირი ტრანსფერის განსაზღვრაც, რაც დაფარავდა სამაგისტრო პროგრამის ხარჯების გარკვეულ ნაწილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საურველია სამაგისტრო პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნას უსდ-ს სხვა წყაროებიდან და არა მთლიანად სამაგისტრო პროგრამის შემოსავლებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩარიცხულ პირთა ოდენობა

არ აჭარბებს 15-ს). შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობის კონცეპტუალური მიდგომები (მაგ. კრიტიკული ნიშნულები, პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების ინდიკატორები და სხვ.); სასურველია პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალური გაწერა, რომელშიც გამოჩნდება კონფერენციების, მივლინებების, სტატიების გამოქვეყნების დაფინანსებისთვის საჭირო თანხები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით“ და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტით. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პრინციპით "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". აღნიშნულის უზრუნვეყოფის მიზნით ხდება პროცესების შეფასება, ანალიზი და შეფასების შედეგების გამოყენება პროცესების დახვეწის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების და სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს, სააუდიტორიო მუშაობებზე ურთიერთდასწრების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის შექმნას, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მეთოდოლოგიის დახვეწას, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ელექტრონული სისტემის შექმნას, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების მომზადების ელექტრონული სისტემის შემუშავებას, სტუდენტთა გამოკითხვების ჩატარებას, სასწავლო პროცესის სისტემატიურ მონიტორინგს: ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულებზე და სხვა აქტივობებზე დასწრება-დაკვირვებას, სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობას (ტრეინინგ კურსების ორგანიზება), სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავებას და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისათვის წარდგენას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; • „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • საგანამანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ასევე, პერიოდულად ხდება გარე ექსპერტების მოწვევა. ხორციელდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება. სამ წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა, სადაც დეტალურად აღიწერება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ნაკლოვანებები და გაუმჯობესების გზები. გარე შეფასებების საფუძველზე (მიზანშეწონილი იქნება, თუ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა პირდაპირ უპასუხებს ქალაქის / რეგიონის / ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის გამოწვევებს და თეორიულ მიგნებებთან ერთად პრაქტიკულ, კონკრეტულ საკითხებსაც გადაჭრის ბიზნეს-ადმინისტრირების და ტურიზმის პოლიტიკის სფეროში) ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სამაგისტრო თემის შერჩევის პრინციპი და საბოლო შემფასებელ კომისიაში პრაქტიკული სფეროდან და სხვა უნივერსიტეტიდან პირების მოწვევა სავალდებულო გახდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარეშემფასებლის დასკვნა სამაგისტრო პროგრამაზე; • სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი 5; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საგანმანათლებლო პროგრამისა და მასში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუდმივ, პერიოდულ შეფასებას. უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო -კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და შეფასების შედეგების გამოყენება კვალიფიკაციის ამაღლების (საჭიროების შემთხვევაში) ან წახალისების მიზნით, რაც დასტურდება პერსონალთან გასაუბრების შედეგად. „ტურიზმის მენეჯმენტის“ საგანამნათლებლო პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ასევე ხდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სემესტრული შეფასება სტუდენტების გამოკითხვის საშუალებით. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების შედეგებისა და მაგისტრანტებთან (სხვა პროგრამის), კურსდამთავრებულებთან და ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად. დასტურდება, ასევე შეფასების შედეგების პერსონალისთვის გაცნობა მიღებული კომენტარების გათვალისწინების მიზნით. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ასევე ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების და აკადემიური პირების გამოკითხვების ანალიზი; • სტუდენტური პორტალი www.portal.bsu.edu.ge; • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი; • ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ტურიზმის მენჯმენტის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოჩა თუთბერიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა დევიძე 

ნინო ტალიკაძე